თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 9

ქ. თერჯოლა 5 სექტემბერი 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. მანუჩარ ფანჩულიძე, 6. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გოჩა ვერულაშვილი, 2. გიორგი ბარათაშვილი, 3. რამინი რობაქიძე, 4. კობა კირკიტაძე, 5. როლანდი მესხი

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 6 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის № 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282324791 წერილი, 04.09.2023 წ)

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282324233 წერილი, 30.08. 2023 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის № 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 20.0 ათასი ლარით და შეადგენს 30081.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი, სხვა შემოსავლები გაიზარდა 20.0 ათასი ლარით. (სანებართვო მოსაკრებელი გაიზარდა 20.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 10.0 ათასი ლარით (კადრების მომზადება-გადამზადების ხარჯი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 30.0 ათასი ლარით. სარეზერვო ფონდი გაიზარდა 10.0 ათასი ლარით. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: დავით გოგბერაშვილმა, გრიგოლ გიორგაძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია- ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 1150.0 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 30061.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 1150.0 ათასი ლარით(გრანტი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1150.0 ლარით.

გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯის დაფინანსება გაიზარდა 1050.0 ათასი ლარით. ჭალასთავთან დამაკავშირებლი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 200.0 ათასი ლარი. სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 250.0 ათასი ლარი. ქ. თერჯოლაში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 250.0 ათასი ლარი. სოფ. გოდოგანში ჭიჭინაძეების უბანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 250.0 ათასი ლარი. ქ. თერჯოლაში ვაჟა-ფშაველას მე-6 შესახვევში არსებული გზის რეაბილიტაციაზე გამოყოლფილია 100.0 ათასი ლარი. კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა 100.0 ათასი ლარით, რომლითაც დაფინანსდება ქ. თერჯოლაში არსებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დარბაზის სარემონტო სამუშაოები.

აზრი გამოთქვეს: მანუჩარ ფანჩულიძემ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარის

თემურ ქოჩიაშვილი